№ 71

ოთხშაბათი, 3 აპრილი 1896

1877—1896

# ივერია

№ 71

ოთხშაბათი, 3 აპრილი 1896

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ ამ მოკლე ხანში იქმნება გამართული.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის შენობაში) და კნ. ოლგა-თადეოზის ასულს

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

## ვაზის ავადმყოფობათა წამლობისათვის

მაქვს პატივი ვაუწყო სიღნაღისა და თელავის მაზრის მცხოვრებთ, რომ 15 აპრილიდამ ველის-ციხეში გაიხსნება საწყობი მანქანებისა ვაზის ავადმყოფობათა წამლობისათვის, ნაცრისა და ობის წინააღმდეგ. აპარატები, საბერველები, შაბიამანი და სხვა-და-სხვა გვარი საზღვარ გარეთიდამ მიღებული გოგირდი. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებული იარაღები იმავე ფასად, როგორც ქ. ტფილისის საწყობებში.

დავშთები პატივისცემით ეფრემ ალაევიჩ ისაკოვი.

(4—46—1)

სათავად-აზნაურო ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 3 აპრილს 1896წ.

ქართული არტისტების ამხანაგობისაგან, ქ-ნ ავალიშვილისა და ვ. ალექსეევ-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

I

### გულის თქმა

დრამა 4 მოქმედ. თარგ. ა. ნიკიტინისა.

II

### დივერტისმენტი

მოთამაშენი: ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ნებიერიძისა, რჩეულოვისა; ალექსეევ-მესხიშვილი, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსეევ-მესხიშვილი.

**ქუთაისის გუბერნიის ცენტრალური კომიტეტი**, დაარსებული გუბერნიის თავად აზნაურობის საგანგებო კრების განაჩენით, შემწეობის აღმოსაჩენად ქუთაისის გუბერნიის იმ მცხოვრებლებისათვის, რომლებიც დააზარალა წყალ-დიდობამ და უმაგალითო ღრმა თოვლმა, უმორჩილესად სთხოვს ყველა გულ-შემატკივრებს—შემოწირულება გამოგზავნოთ კომიტეტის თავმჯდომარის, ქუთაისის გუბერნიის თავად - აზნაურობის წინამძღოლის თავადის ს. გ. წერეთლის სახელობაზედ (5—4)

**«ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისათვის»** გამგე კომიტეტს აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ **წლიური საზოგადო კრება** დანიშნულია ამ წლის 25 აპრილისათვის, საღამოს 7 საათზე, თავად-აზნაურთა სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 იანვრიდამ 1895 წლისა 1896 წლის იანვრის 1-მდე.

2) ხარჯთ-აღრიცხვა 1 იანვრიდამ 1896 წლისა 1 იანვრამდე 1897 წლისა.

3) განხილვა პროექტებისა, რომელნიც იქმნენ შემუშავებულნი სამეურნეო და ქალთა სასწავლებლის კომისიებისაგან.

4) განხილვა ანგარიშების წესდებებისა

და 5) სხვა-და-სხვა წვრილმანი კითხვები. (3—3)

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 3 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია წარმოდგენა 4 მოქმედ. დრამა „გულის თქმა." წარმოდგენის შემდეგ დივერტისმენტი იქნება.

*** „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ ლატარია-ალეგრია დანიშნული ამ მოკლე ხანში.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის ქართულ სიტყვიერების მასწავლებელი თ. დ. ჟორდანია გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაუყვანიათ იქაურ სამრევლო სკოლების ზედამხედველად. მისს ადგილას, როგორც ხმა ისმის, გორის სასულიერო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებელი ი. ფერაძე წარუდგენიათ.

*** საშუალო სამეურნეო სასწავლებლის ტიპის შესამუშავებლად, რომელიც ტფილისში უნდა იქმნას გახსნილი, სამეურნეო სამინისტროს რწმუნებულს ტფილისში თავისს მოხელეთაგან განსაკუთრებული კომისია შეუდგენია და მისთვის მიუნდვია შესაფერის ტიპის შემუშავება. კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო.

*** 31 მარტს ტყიბულის ქვა-ნახშირის ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება იყო. კრებაზედ განიხილეს და დაამტკიცეს ანგარიში ამხანაგობისა 1895 წ. საანგარიშო წელს გაყიდულ ნახშირისაგან დარჩენია ამხანაგობას 59, 456 მ. 82 კ. მიმდინარე წელს ხარჯი აღნიშნულია 145, 625 მ. ამავე სხდომაზე არჩეულ იქმნენ სხვა-და-სხვა თანამდებობაზე: გამგეობის დირექტორად ა. ა. მელიქ-აზარიანცი (ახლად იქმნა არჩეული), მის კანდიდატად—მანუელიანცი ძ სარევიზიო კომისიაში: ა. ს. ფრენკელი (თავმჯდომარედ), ნ. ა. ათაბეგოვი, ა. ა. წატუროვი და ლ. დ. ქორქაშვილი—იგინივე, რომლებიც წარსულს წელს იყვნენ არჩეულნი („ნოვ. ობ.").

*** როგორც გაზ. „ტფ. ფურ."-ი სწერს, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში საგანგებო კომისია თურმე შესდგა იმის შესახებ, რომ სატყეო უწყებაში შტატი გადიდდეს. კომისიას საჭიროდ უცვნია ტყის უფროსთა შტატი გაადიდოს და კიდევაც დაუარსებია შვიდი ახალი თანამდებობა ტყის უფროსისა, მათის ხუთის თანაშემწისა და ტყის მცველთა.

რომ უკეთესად ადევნონ თვალი ტყის უფროსთ, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს მთელი ტფილისის გუბერნია სამ ნაწილად გაუყვია: კახეთისა (თელავისა, თიანეთისა და სიღნაღის მაზრები და ზაქათალის ოლქი), ახალციხისა (გორისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები) და ტფილისისა (ტფილისისა, ბორჩალოსი, და დუშეთის მაზრები) თვითოეული ნაწილი ჩაბარებული ექნება სატყეო რევიზორს, რომელიც უფრო დასახლებულს ადგილას იცხოვრებს. რევიზორი მოვალეა ყოველ წლიდ ანგარიში წარუდგინოს ხოლმე, სადაც ჯერ არს, სატყეო რევიზიის შესახებ. „ტფ. ფურც."-ი).

## კორესპონდენცია.

—

**ს. ლიმანი**, (ლაზისტანი, ბათუმის ოლქი). მეტად სუსხიანი ზამთარი დაიჭირა წრევანდელმა წელიწადმა. 14 ამ თვიდამ რომ დაიწყო დასავლეთის ქარმა ბერვა, დღევანდლამდის არ შეწყვეტილა. მოდის თოვლი და ავსებს აქაურობასა. ბერიკაცები ამბობენ: ამისთანა ზამთარს ჯერ არ შევსწრებივართო. წარსულის წლებით წათამამებულებმა თავდარიგიც ვერ დავიჭირეთ; ბევრს სანოვაგე და საქონლის საკვები შემოაკლდათ. უფრო სავალალო კი ის არის, რომ ბრინჯის გალეწვა ვერ მოასწრეს, ეხლაც სდგას დაზვინებული მნა ბრინჯისა მაკრიალში და სალოდავათ გაჭყურებს თოვლით დაფარულს არე-მარესა. არც მოსავალი იყო რიგიანი. სიმინდმა ვერ მოასწრო მოსვლა-

## ფელეტონი

### საუბარი ბანკების შესახებ.

(სადგილ-მამულო კრედიტი)

დასასრული *)

თუმცა უმთავრესი ოპერაციები სადგილ-მამულო ბანკებს ერთგვარი აქვთ, მაგრამ იგი ბანკები განსხვავდებიან მაინც და მაინც იმის მიხედვით, თუ ვინ არის შუამავალი მსესხებლისა და კაპიტალისტის შუა. ამ მხრივ სადგილ-მამულო ბანკი სამი ტიპისა არის: სახელმწიფო, სააქციონერო და საურთიერთო (ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი ამ უკანასკნელ ტიპს ეკუთვნის). ამ ბანკების განსხვავება ჯერ იმაშია, რომ ისინი სხვა-და-სხვა სარგებელსართმევენ მსესხებელთ. ყველაზედ ნაკლებ % სახელმწიფო ბანკი ართმევს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სახელმწიფო ქონებით ძლიერია და მისი დანიშნულებაც ის არის, რომ ხალხის საკეთილდღეოდ კრედიტი გააიაფოს ხოლმე—მაშასადამე იგი ნაკლებ %-საც უნდა დასჯერდეს. ყველაზედ მეტ % სააქციონერო ბანკები ახდევინებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ სააქციონერო ბანკებმა თავისი ძირის ფულის სარგებელიც უნდა ახდევინონ მსესხებელს. სააქციონერო ბანკების დასაფუძნებლად საჭირო არის, რომ აქციონერებმა ფული გამოიღონ და იგი ხელ-უხლებლივ ჰყონ ბანკის ოპერაციის დროს, რადგან კაპიტალისტების წინაშე ეს ძირის ფულია პასუხის მგებელი, თუ აქციონერებმა ცუდათ წაიყვანეს თავისი ბანკი. მაშასადამე აქციონერები შიშში უნდა იყვნენ, რომ ფული დაეკარგებათ, ვინიცობაა ბანკის საქმე ცუდად წავა. აი ეს შიში, რისკი, ამატებინებს გადასახდელ %-სა. მაგალითად, ხერსონის სადგილ-მამულო ბანკში 1889 წლ. 1 იანვარს ძირის ფული (складочный и запасной) კაპიტალი 6 მილიონზე მეტი იყო—ეს ფული აქციონერების კუთვნილება არის და იგია პასუხის გამცემი, თუ ბანკის საქმე ცუდად წავიდა.

საურთიერთო ბანკებს—სარგებლის გადახდის მხრივ—შუა ალაგი უჭირავთ ზემო აღნიშნულ ბანკების შორის, ე. ი. არც ისე ცოტას ახდევინებენ, როგორც სახელმწიფო ბანკები, და არც ისე ბევრსა, როგორც სააქციონერო. ეს იმიტომ ხდება, რომ საურთიერთო ბანკში შუამავალი მსესხებლისა და კაპიტალისტისა თვით მსესხებელია; ეს ბანკი თვით მსესხებლთ კუთვნილებას შეადგენს, მათ დაუფუძნებიათ და პირობა შეუკრავთ, რომ თუ ვინიცობაა ბანკის საქმე ცუდად წავიდა, კაპიტალისტების წინაშე ჩ ვ ე ნ ი ქონება იყოს პასუხის მგებელიო. მაშასადამე ამ შემთხვევაში მსესხებელი იძულებული აღარ არის მეტი % აძლიოს აქციონერების დივიდენდისთვის და რისკისათვის, როგორც სააქციონერო ბანკში ხდება. რაკი ყველა მსესხებელთა მამულია პასუხის მგებელი საურთიერთო ბანკში, იმიტომ მათ განუსაზღვრელად შეუძლიათ ფულის გასესხება. სააქციონერო ბანკების მოქმედება კი ამ მხრივ უფრო შეხუთულია: მათგან გაცემული ფული არ უნდა აღემატებოდეს ათჯერ გამრავლებულ ძირის ფულსა, რადგან, როგორც ვსთქვით ამ ბანკებში ერთად ერთი პასუხის გამცემი (რასაკვირველია დაგირავებული მამულის გარდა)—ძირის ფულია.

რაღა თქმა უნდა, რომ მსესხებლისთვის უფრო სჯობია სახელმწიფო ბანკთან დაიჭიროს საქმე—იქ არც შიში აქვს, რომ თავისის ქონებით პასუხის მგებელი იქმნება და სარგებელსაც ნაკლებს იხდის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სახელმწიფო ბანკს ბევრი უფრთხის, რადგან იქ მეტად რთული ფორმალიზმი არის შემოღებული. სამაგიეროდ სააქციონერო ბანკებში ეს ფორმალიზმი, რამდენადაც-კი შესაძლებელი არის, შემცირებულია, ამ ბანკებში დიდის თავაზიანობით და ყურადღებით ეპყრობიან მსესხებელს და, სხვათა შორის, ესეც არის მიზეზი, რომ, თუმცა სააქციონერო ბანკის კრედიტი უფრო ძვირია, მას მუშტარი მაინც არ აკლდება. რაღა თქმა უნდა, რომ სააქციონერო ბანკთან საქმის დაჭერა იმითია კიდევ კარგი, რომ მსესხებელნი პირობით არ არიან ხელ-შეკრულნი, რომ წაგება უზღონ თავისის ქონებით ბანკსა.

საურთიერთო ბანკების სუსტი მხარე ეს არის, რომ მსესხებელთ მეტი რისკი აქვთ ზემოთ აღწერილ გარემოებათა გამო. მაგრამ ეს რისკი თითქმის არ არსებობს, თუ ბანკის საქმე სწორედ და წესიერად მიჰყავთ. ამიტომ დიდად საჭირო არის ამისთანა ბანკებისათვის, როგორც ჩვენი ტფილისისაა, რომ მისი წევრნი სერიოზად მოქმედობდნენ და ბანკის საქმეში არამც და არამც არ გაურიონ სხვა ინტერესები. საურთიერთო ბანკებშიც რომ ისეთი თავაზიანობა და მოხერხება სუფევდეს, როგორც სააქციონერო ბანკებში, მათ უფრო ბევრი მუშტარი ეყოლებოდათ.

ეხლა რაკი აღვნიშნეთ უმთავრესი თვისებანი სადგილ-მამულო კრედიტისა და მათი ტიპებიც მოვიხსენიეთ, მეტი არ იქნება დავასახელოთ უმთავრესი ნაკლულებანი აწინდელ სადგილ-მამულო კრედიტისა, საზოგადოდ.

ძირითადი მოთხოვნილება ყოველის კრედიტისა ის არის, რომ იგი იაფი უნდა იყოს და სწრაფი, ე. ი. მალე უნდა მიეშველოს მსესხებელს. ეს მოთხოვნილება ვერ არის დაკმაყოფილებული სადგილ-მამულო კრედიტში. საკმაო არის გავიხსენიოთ ის რთული პროცედურა, რომელიც უნდა აღსრულდეს მამულის და-

*) იხ. „ივერია" № 70.

შემოდგომაზედ გამუდმებული წვიმებისა გამო. ბრინჯს, გამლს და ფორთოხალს არა უშავდა-რა.

ასე თუ ისე წარსულმა წელმა ვერ გაუღიმა ლაზსა, მაგრამ ლაზი იმისთანა მოხერხებული და აზრიანი არის, რომ არაფრად შეიმჩნევს. ქვაზედ რომ გააგდოთ, იქაც დარჩება. ვერაფერი ჩარჩი მას ვერ მოატყუებს. ისე აქვს ყოველ ლაზს ალებ-მიცემობის გამო გახსნილი და ცოდნა თავისს ნამუშევრის ფასისა, რომ პირიქით ჩარჩს უნდა ემინოდეს მისი. აგი კიდევ აქ, ლაზისტანში სანთლით ვერ იპოვით ჩარჩს სისხლის მწოვარს.

როგორც წინადაც ვიწერებოდი, სხვათა შორის, აქ ხოცვენ ზღვის ღორებს, აკეთებენ ქონს და ჰყიდიან ფუთს ცხრა აბაზად, ზოგჯერ მეტადაც. ამას წინად ბათუმში რაღაც გაუგებარის კონკურენციის მადლით ფასი დაეცა. ლაზებმა არც აცივეს არც აცხელეს, მაშინვე შეაგროვეს ერთად ქონი და გაგზავნეს თავისს კაცით ოდესსაში და იქ გაყიდეს. ტყუილად-კი არ იტყვიან ხოლმე ბებერი ლაზები, როგორც ფელიუგის საქმეში ხან აქეთ წასვლამ და ხან იქით ერთი და იმავე ქარის საშუალებით ეშმაკი გააკვირვა, ისე ლაზმაც თავისი ცოდნა მოხერხებითაო.

ლაზებს, ჭოროხის აქეთა მხარეს მცხოვრებლებს, ორი დიდი თხოვნა ჰქონდათ მთავრობასთან. ერთი ნავების ბაჟფორთებისთვის გადასახადის მოკლება და მეორე საზღვარზედ გასვლა-გამოსვლის საშუალოთო წესის დადგინება, სწორედ იმ გვარად, როგორც პრუსიის საზღვარზედ არის დაწესებული. პირველი თხოვნა უკვე შეწყნარებულ იქმნა ქუთაისის საბაჟოს ოლქის უფროსის ბ. ზიგოვის [illegible]ბით, რომელიც დიდის მადლობის ღირსია ასეთი კეთილ საქმის გაკეთებისათვის, ხოლო მეორესი ჯერ არა ვიცით-რა, თუმცა იგივე ბ. ზიგოვი ამ საქმეშიაც ძალიან მეცადინეობს. რამდენად სასურველია ამ უკანასკნელი თხოვნის შესრულება, მაშინ შეიძლება მიხვდეთ, თუ მხედველობაში იქონიებთ, რომ ლაზს მუდამ საქმე აქვს თავისს მეზობელ ოსმალოს ხელში დარჩენილს ლაზებთან: ზოგი მამა არის, ზოგი მმა და ზოგი სხვა ნათესავი.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, მეტად ქვეითობს ლაზისტანი. ერთი სკოლაც არ არის ამ მხარეში. იყო ერთი სკოლა მარადიდში ახმედ ეფენდი ხალვაშის თაოსნობით დაარსებული, მაგრამ თქვენი ჭირი წაიღო, არ ვიცი რა მიზეზით-კა. ეხლა, როგორც მარადიდის განყოფილების უფროსმა გვითხრა სამინისტრო სკოლის გახსნას აპირებენ იქვე მარადიდში, სადაც მთლად ქართულად ლაპარაკობენ. მგონია, მაკრიალი, სარფა, სროვილი, მანელოღლი და ლიმანი სულ ზღვის პირად გაშენებული სოფლები (ლაზურად ლაპარაკობენ) უსკოლოდ არიან, თუ არ ვიანგარიშებთ ჯამეებთან მოწყობილს უმეზასს მედრესეებს, სადაც არაბულად ნაწერს ყურანს აკითხებენ ბავშვებს. ქართული ცოტათი იციან, წერა-კითხვასაც ეტანებიან. რამდენიმე ყმაწვილმა კაცმა ისწავლა წერა-კითხვა, სულ-კი ბ. გოგებაშვილის „გოგორის" ბრალია. ერთს დღეში ლაზი ამ „გოგორის" საშუალებით კითხვას სწავლობს.

მედრესეებში თათრულს ასწავლიან, როგორც ვაჟებს ისე ქალებს, მაგრამ მაინც ფონს ვერ გადიან. მომეტებული რიცხვი ქალებისა ჭანურად ლოცულობს, (კაცებმა თათრულად იციან). რომ ჰკითხე, როგორ ეხვეწებიან ღმერთს-მეთქი, მომიგეს, რომ როგორც თვითონ შესძლებს გამოთქმასაო. აი მაგალითად: დგას ქალი და ეხვეწება ღმერთს ამ რიგად: „თანგრი ჩქიმი სიგიჩქან პიჯიხხე ჯინხეთ შა მაყონი" ვაიომ: ჩემო ღმერთო შენ იცი, სამოთხეში პირნათლად შემიყვანეო. ბავშვის დასაძინებელი სიმღერა ჩვენს ნანასა ჰგავს. ასე უმღერის ლაზის ქალი შვილს: „ანანა, ნანა, ნანა გოგიხტუ ნანა სკანი: ნანინა ნანა ნანაი განაცვალოს დედაშენი და სხვ.

ხმელეთის გზისას აქედამ ბათუმამდე (30 ვერსია) ნუღარას მკითხავთ. უმისოდაც ერთი რაღაც ბილიკი არის გაკეთებული, ისიც საბაჟო უწყების თაოსნობით და ახლა ამ საშინელმა ზამთარმა და თოვლმა მთლად მოსპო მიმოსვლა. ისეთი ნამქრები არის დაზვინებულა ალაგ-ალაგ, რომ მერცხალი ვერ გადაფრინდება. ეს გზა კარგ ამინდშიაც გასაჭირია ჭოროხის გადამკიდე, რომელზედაც (ჭოროხზედ) ხიდი არ არის და ცუდში რა იქნება!.. გზავარი მთლად მოწყვეტილები ქვეყანას და გულის ტკივილით გაიყურებით აქეთ-იქით. ზღვით აბა ვის შეუძლიან წასვლა? ისეთი აღელვებულია, რომ ვერ წარმოიდგენს კაცი. ნავების პატრონებისაგან გაკეთებული ზღვის კიდეზედ ადგილები, სადაც ნავები აქვთ შენახული, მთლად მიფუშ მოფუშა. ორი პატარა ნავი ხალი აღა ზუმბაიასი წაიღო და ვინ იცის, საით გააქანა აზვირთებულმა ზღვამ. ოსმალეთიდამ მომავალი ნავი ფორთოხლით დატვირთული მუსტაფა ჰაიდარ-ოღლისა (ოსმალოს ქვეშევრდომია ერთი შეათიმაშა ჭოროხის ახლო, უსხლიჯუდა და პირქვე მოამხო, დაიღუპა თვით პატრონი. არც არავინ სხვა გადაურჩენიათ იმ ნავიდამ: ვინ გაბედავდა იმ აღელვებულ ზღვაში შესვლას. საწყალი ჰაიდარ-ოღლი გამოვიდა ოსმალეთიდამ იმ დროს, როდესაც დარი იყო ქარმა ზღვაში მოასწრო.

დროებით ლიმანელი,

## ჩემი დღიური.

II

„ნოვ. ობ."-ის წასრულ კვირის ნომერში დასტამბული იყო მეტად დამაღონებელი კორესპონდენცია სოფელ ოსიაურიდამ. რასაც კორესპონდენტი ოსიაურის შესახებ იწერება, იგივე, თუ მეტი არა, ითქმის ახლა საქართველოს მრავალ სოფლების შესახებაც. დიდს სასოწარკვეთილებას იწვევენ საშინელი ფაქტები, დაწვრილებით მოთხრობილი ხსენებულს წერილში. წყალდიდობასა და დიდ ზამთრიანობას მოსალოდნელი შედეგი მოჰყვა: სოფელში სხვა-და სხვა სენი გაჩნდა და მუსრავს ხალხსა! რასაკვირველია, ეს ასე უნდა ყოფილიყო: სოფელი 5—6 თვის განმავლობაში წყალში იდგა; ნოტიო-სიცივეში ჩაგდებული ხალხი, მშიერი ან ნახევრად მშიერი, სულით დავრდომილი და შეწუხებული, უთუოდ შეიქმნება ყოველგვარის სენის მსხვერპლად. დგება გაზაფხული; სოფლების ირგვლივ ათასი ჭაობი დიდხანს კიდევ არ დაშრება და რამდენნაირს ავათმყოფობას არ გააჩენს! დამშეული და სულით შეწუხებული ხალხი აბა როგორ გაუძლებს უბრალო ავათმყოფობასაც?! მართლაც, ვინც დაზარალებულთ მდგომარეობის შესახებ იწერება ამ ბოლოს დროს, უმთავრესად ხალხის დაავათმყოფებას აღნიშნავს...

ვინ არის მშველელი? სად არის დამხმარებელი და მზრუნველი? ჩვენი სოფელი, როგორც ჩვეულებრივ, ისე ამ საგანგებო შეწუხების დროსაც, სრულიად უპატრონოდ არის! რუსეთში ამგვარსავე შემთხვევაში დიდს სამსახურს უწევს სოფელს ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელმაც მოჰფინა ქვეყანა საავათმყოფოებით, გაუჩინა სოფელს მკურნალი—ექიმი და სხვა. გარდა ამისა, ნაგანგებო გარემოებათა დროს «დაწესებულებას» მხარს აძლევს ქალაქის ინტელიგენცია, ახალგაზდა ექიმები, სტუდენტები და სხვანი. ხოლერობის დროს მრავალი ახალგაზდა—არა ექიმები—ქალი და კაცი დაიძრა სოფლებში მომვლელ-მშველელად!

ჩვენში, სამწუხაროდ, აღნიშნული დაწესებულება არ არსებობს. ადმინისტრატიულ ცენტრებში მსახურნი ექიმნი, რაც უნდა იდეალურად ასრულებდენ თავის მოვალეობას, მაინც ვერ გაუძლებენ დიდ მოთხოვნილებას და საჭიროებას. ჩვენი ინტელიგენცია-კი აქაც თავის ზნეობრივს უძლურებას გამოამჟღავნებს და სხვას ვერაფერს!

ამბობენ, ჩვენი ექიმები იმიტომ გაურბიან სოფელს, რომ იქ შიმშილით გაწყდებიანო. ეს რომ ჭეშმარიტებას მოკლებულია, მე საბუთებით შემიძლია დავამტკიცო, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. უმჯობესი იქნება—ერთის სოფლის ამბავს მოგიყვებით. არის დასავლეთ საქართველოში ერთი დიდი და შედარებით შეძლებული სოფელი. ამ სოფელმა გამოზარდა და უმაღლესი განათლება მიაღებია ექვსს თუ შვიდს ყმაწვილს. მათი აღზრდისათვის მშობლებმა თვისი ღარიბი ოჯახი დააქციეს; ზოგი გამოიზარდა იქაურ მცირე მემამულე აზნაურთა დახმარებით. ამ ჟამად ეს განათლებულნი ვინ იცის სად, [illegible] ემსახურებიან. არც თავის სოფელს, არც საზოგადოთ ხალხს, ისინი არაფრათ არ არგიან. მათ კარგა ხანია დაავიწყდათ ყოველგვარი მოვალეობა ხალხის წინაშე! ამ განათლებულთა შორის რამდენიმე ექიმია. სოფელი დიდხანს სთხოვდა თვითოეულს მათგანს—დარჩით აქ, ნუ ეძებთ სამსახურს, გვემსახურეთ, წელიწადში 800 მ. გაგიჩენთ და ისედაც იშოვითო, მაგრამ მათ ირჩიეს სახელმწიფო სამსახური. ირჩიეს მიუხედავად იმისა, რომ ნათლად, ფაქტიკურად, დარწმუნდნენ — სოფელს ესაჭიროება მშველელი, რომ სოფელი წყდება უექიმოდ და მრავალი ღარიბდება მატყუარა-მარჩიელთა ხელში...

და აი დღეს, როდესაც ყოველგვარ უბედურებასთან ერთად, ხალხის ჯანმრთელობაც მეტად საშიშ მდგომარეობაშია, მისის ოფლით და განუწყვეტელის შრომით აღზრდილნი შვილნი ყურს უყრუებენ საშინელს ღაღადსა და ხვეწნას ხალხისას და თავიანთ კეთილდღეობის ასამაღლებლად სად არ იღწვიან, სად არ გარბიან!

რაღა საკვირველია, რომ ხალხს, შეუგნებელ ნაწილს ჩვენის ერისას, გული უტყდება და დიდის ეჭვით უყურებს ეგრედ წოდებულს ინტელიგენციას. მოდი და აუხსენი მას განსხვავება ნამდვილ ინტელიგენციისა და ,,ეგრედწოდებულ ინტელიგენციის" შორის! მას თვალში ეჩხირება მხოლოდ ფაქტები და გამოჰყავს მხოლოდ ერთი დასკვნა: სრული ზნეობრივი უძლურება ჩვენის ინტელიგენციისა.

გიგო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

საშეითალო ჟურნალში (Вѣстникъ общественной ветеринаріи за 1896 г. 1 Марта № 5) დაბეჭდილია შემდეგი ნეკროლოგი: „17 თებერვალს პროფეს. რატიმოვის კლინიკაში გარდაიცვალა სამხედრო-სამედიცინო აკა-

---

გირავების დროს (ჰიპოტეკის და აღკრძალვის დადება, დაფასება მამულისა, გამოანგარიშება სესხისა, ჩვენში პეტერბურგიდგან სესხის გაცემის ნებართვის მიღება და გირავნობის ფურცლების ფულზედ დახურდავება)—რომ ვსთქვათ, საადგილ-მამულო კრედიტის მიწოდება ვერ არის სწრაფი. მაშინ, როდესაც კომერციულ კრედიტში სულ სხვასა ვხედავთ: აქ ვაჭარს, კომერსანტს რამდენიმე წამში შეუძლია ფული აიღოს ბანკიდგან—ამ მოკლე ხანში მოძრავ და უძრავ (ვარრანტები) ქონების დაგირავებასაც მოასწრობს და იქვე გასწორებასაც, ამიტომაც არის, რომ ვაჭრობაში უფრო ხშირად და სავსებით სარგებლობენ კრედიტით, ვიდრე მეურნეობაში. ვაჭარი იმ ქალაქში სცხოვრობს, სადაც ბანკებია—მეურნე-კი კრედიტის ასაღებათ, სოფლიდან უნდა ჩამოვიდეს და რამდენიმე კვირა და თვე უნდა უცადოს, მანამ გარდასწყდება მისი საქმე ბანკში.

მეორე ნაკლულევანება საადგილ-მამულო კრედიტისა ის არის, რომ ვალის გადახდა იმ წესითა ხდება, რაიც ვერ შეეფერება მეურნეობის ბუნებას. ვალის გარდასახდელათ მსესხებელმა წელიწადში ორჯელ უნდა აძლიოს საადგილ-მამულო ბანკს—წინადვე გამოანგარიშებული გარდასახადი. ეს გარდასახადი ამ რიგად შესდგება: 1) მსესხებელმა ბანკს ის სარგებელი უნდა გადუხადოს, რასაც თვით ბანკი აძლევს კაპიტალისტსა. 2) % ბანკის მართვა-გამგეობის სახარჯოთ 3) გამოანგარიშებული % ვალის თანდათანობითი გარდასაწყვეტად, (ამ %-ის გამოანგარიშება ძიელ ადვილია და დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენი წლით არის აღებული ვალი. იხილე „დაწყებითი ალგებრა" ვ. რ. ყიფიანისა, გვერდი 534, 535, და 536.) და ერთბაშად გარდახდება კიდევ მსესხებელს 1% მდე—დაფასებისა და გირავნობის ფურცლების ხარჯის გასაწევად. მაგალითად, ჩვენს ბანკში ეს გარდასახადი შეადგენს სულ $5\frac{1}{2}\%$ სოფლის მამულების სესხისთვის, თუ მსესხებელი დამფუძნებელია და $6\frac{1}{4}\%$ დანაშთენებისთვის. მხოლოდ ქალაქის მამულებისათვის გარდასახადი 7%-ია ყველასათვის. აი ეს პროცენტი უნდა აძლიოს სამეურნეო ბანკის მსესხებელმა: ნახევარი არა უგვიანეს 30 ივნისისა და ნახევარიც 31 დეკემბრისა; თუ გადააცილა შტრაფები და პენი დაეწერება და შემდეგ თვით მამულიც გაეყიდება. მაშასადამე ვალის ამღებმა დიდი სიფრთხილე, წინ დახედულობა და აკკურატობა უნდა იხმაროს ვალის გადახდაში. აი სწორედ ეს არ ეთანხმება მეურნეობის ბუნებასა. დიდადაც რომ სურდეს მეურნეს აკკურატი და ფრთხილი იყოს—ვერას გახდება,—თუ ბუნებამ, ამ მეურნეობის ბრძანებელმა, არ მოუმართა ხელი: ვერ მოვიდა მოსავალი, გაცრუვდა იმედები; ან მოსავალი არის—ფასი არა აქვს, ვერ იყიდება. ამნაირ მდგომარეობაში როგორ მოახერხოს მეურნემ აკურატობა გამოიჩინოს და თავ-თავის დროზედ შეიტანოს ბანკში გარდასახადი. სამეურნეო ბანკები მხოლოდ მაშინ შესძლებენ სავსებით მოუტანონ სარგებლობა მეურნეობასა, ამბობს ერთი ეკონომისტი, როდესაც მსესხებელი მეურნე განთავისუფლებული იქმნება ფული სწორედ იმ ვადაზე შეიტანოს ბანკში, რომელიც ბანკს დაუდგენიაო. თვით მსესხებელმა უნდა აირჩიოს თავისთვის მარჯვე დრო და მაშინ უნდა შეიტანოს გარდასახადი—როდესაც ფული ხელში უჭირავს,—ე. ი. როდესაც მოახერხებს მოსავლის შეკრებას და მოგებით გაყიდვას; მოგებით გაყიდვას-კი მოცდა უნდა, არ აჩქარება. ამნაირად ბანკის მოწყობა ჯერ იდეალათ მიაჩნიათ და მისი განხორციელება ოდნავ არის დაწყებული.

შოტლანდიაში არის მაგვარი წესი შემოღებული. იქაური ბანკები ამ შემთხვევაში ასე იქცევიან: აფასებენ მამულს და მორიგდებიან მსესხებელთან სესხის რაოდენობაზედ, მერე დასაგირავებელ მამულს აღკრძალვას (запрещеніе) ადებენ და აკისრებენ მსესხებელს ვალი თან-და-თან გარდაიხადოს იმ წესით და რიგით, რაიც მსესხებლისათვის უფრო სამჯობინო იქმნება.

რაღა თქმა უნდა, რომ სამეურნეო ბანკები თან-და-თან უმჯობესობაში შედიან, მათ ეხლა აღარა აქვთ ის წუნი, რაიც წინადა ჰქონდათ, და იმედია მალე ისე განვითარდებიან, რომ კომერციულ რთულ ბანკებს არ ჩამოუვარდებიან. ამისი თავდებია, როგორც ის გარემოება, რომ მეურნეობა თანდათან, უფრო და უფრო თხოულობს თავის წარმატებისათვის კრედიტს—აგრეთვე ისიც, რომ თვით მეურნეც იცვლის თავის ზნე-ჩვეულებას და კომერციულ თვისებებს იჩენს. წარსულს ფელეტონში ამის მაგალითად შოტლანდიელები მოვიხსენიეთ. ახლა-კი ინგლისელ ფერმერებზედ მივუთითებთ მკითხველს: უცხო სახელმწიფოთა შორის მხოლოდ ინგლისში არ არსებობს ჰიპოტეკური კრედიტი, რადგან იქ მიწა არენდატორების ხელშია და არენდატორებს-კი ნება არა აქვთ მამული დააგირავონ. თუმც ეს ასეა, მაგრამ არენდატორები ისე ყოჩაღათ და ცოდნით იქცევიან, რომ მოკლე ვადიან კრედიტითაც კი ახერხებენ მამულების გაუმჯობესობასა (პროფ. შიშკინი). ასე იცვალა ხასიათი მეურნისა ინგლის-შოტლანდიაში.

აი, მეურნეთაგან ამ ზომით ახალი თვისებების შეძენა არის თავდები, რომ აწმყო საადგილ-მამულო ბანკები სასურველად იცვლიან წესებს და მათგან მიწოდებული კრედიტიც უფრო იაფი და სწრაფი გახდება ყველგან.

—ლი—გ.

დემიის მეხუთე კურსის სტუდენტი ვ. მ. მანსვეტოვი. განსვენებული თითქმის ორი წელიწადია, რაც პროფეს. ვორონცოვის ლაბორატორიაში მუშაობდა და ქოთაუს (сапъ) გამოკვლევაში იყო. ერთი იმისი შრომა ჩვენ ჟურნალშიაც იყო დაბეჭდილი შარშან. უკანასკნელ ხანებში განსვენებული ვ. მ. ქოთაუს ურიდა ცხოველებსა და თითონაც ამ საშინელი სენის მსხვერპლი შეიქმნა. პირველი ნიშნები სენის გადადებისა გამოაჩნდა 1 თებერვალს, რამდენიმე დღე ძალიან იტანჯა და მერე განუტევა სული თავის საცოლოს, ნათესავების და ამხანაგთა შორის. განსვენებულს სასულიერო სემინარია ჰქონდა გათავებული; ბევრი შრომის და ტანჯვის შემდეგ მიიღო გიმნაზიაში ატესტატი რომელმაც მისცა უფლება აკადემიაში შესვლისა. იმედებს იძლეოდა არა მარტო მეცნიერისას, არამედ კაი მკურნალისასაც: ხოლერობას, 1894წ. განსვენებული ებრძოდა სენსა სარატოვის ერობაში და იქვე შრომობდა ზაფხულობით ამ უკანასკნელ ორ წელსა. რომ არა ვთქვათ რა ნათესავების, საცოლოს და მეგობრების დანაკლისზე, მარტო მეცნიერებამ დაკარგა ერთი ერთგული ნიჭიერი მუშა, რომელიც, ვითარცა მეომარი ბრძოლის ველზე, იარაღით ხელში დაეცა კაცობრიობის სარგებლობისათვის. 19 თებერვალს დაასაფლავეს განსვენებული. აკადემიის ეკლესიაში წირვას დაესწრნენ აკადემიის უფროსი, პროფესორები, დოცენტები და აუარებელი რიცხვი სტუდენტებისა. პანაშვიდის შემდეგ კუბო ხელით გამოიტანეს და სამგლოვიარო კორტეჟი გაემგზავრა ალექსანდრე-ნეველის ლავრისკენ, სადაც მიაბაარეს მიწას გაბსვენებულის გვამი. საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს სტუდენტებმა ოპელიმ და ცვეტმა,“

—

პეტერბურგის და მოსკოვის წერა-კითხვის საზოგადოების კომიტეტები, როგორც ვიცით, სახალხო განათლების სამინისტროს დაუქვემდებარეს. „რუსკ. ვედ.“ აი რას ამბობს ამის შესახებ: თუმც მიზანი საზოგადოებისა სამინისტრომ არ შესცვალა, მაგრამ მოქმედება ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად მეტად შეზღუდულია ახალის წესდების ძალითაო.

საზოგადოების თავმჯდომარეს ნიშნავს პირდაპირ მინისტრი; თავმჯდომარის თანაშემწეს და მმართველობის წევრებს, მდივანს, თუმცა საზოგადოება ირჩევს, მაგრამ სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს; მხოლოდ ხაზინადარისა და რევიზიის კომისიის წევრების არჩევნებს არ ამტკიცებს მთავრობა. საზოგადოების კრებაზედ არა წევრი ვერ დაესწრება. ის საგნები, რომელნიც კრებამ უნდა განიხილოს, წინადვე სამინისტროს უნდა წარუდგინონ და მხოლოდ შემდეგ შეუძლიათ საზოგადოებას წარუდგინონ. მმართველობასა და თვით თავმჯდომარეს დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. როცა კრებას არ ეთანხმება მმართველობა, ხელ ახლად წარუდგენს გადასასინჯავად ამა თუ იმ საგანს და თუ მეორეჯერაც მმართველობის წინააღმდეგი დადგენილება მოხდა, მაშინ სამინისტროს მიჰმართავს. თავმჯდომარესაც შეუძლია, როცა მმართველობა არ ეთანხმება, სამინისტროს მიჰმართოს; ეს წინააღმდეგია ყოველივე საზოგადოებრივი მმართველობისა. როცა მმართველობას არ ეთანხმება საზოგადოება, პირველმა სამსახურს თავი უნდა დაანებოს. უცნაური უფლება მიანიჭეს თავმჯდომარესაც. იმას შეუძლია ყოველ შემთხვევაში მინისტრთან მიიქცეს. ყველას, ვისაცა სურს, შეუძლია წევრად ირიცხებოდეს. ქალებს არ შეუძლიათ მმართველობაში მიიღონ მონაწილეობა, არ შეუძლიანთ აღასრულონ მდივნისა და ხაზინადარის თანამდებობა. ძალიან შევიწროებულია ამ წესდებით მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტი, მაგრამ იმედიაო, დასძენს გაზეთი, რომ საზოგადოება ენერგიას არ მოაკლებს და მოეხმარება ხალხის განათლების განვითარებას. იმედია წესდების შეუსაბამო მუხლები გამოცვლილ იქმნება, რადგან მინისტრის შედგენილია და კანონმდებლობითი წესით არ არის გამოცემული. ყოველს შემთხვევაში, ცვლილება მოსალოდნელია და თვით საზოგდაოებას შეუძლია ითხოვოს ამა თუ იმ მუხლის შეცვლა.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ადვოკატს კვილიამს, რომელიც მაჰმადიანთა სარწმუნოებას აღიარებს და შეიხ-ულ-ისლამია ბრიტანიის კუნძულთა, ამ დღეებში ამგვარი პროკლამაცია გამოუცია, ლივერპულში ეს პროკლამაცია გადათარგმნილია არაბულს, სპარსულს, ინდუსტანურს და აღმოსავლეთის სხვა ენებზედ. კვილიამი ალლახის სახელით არწმუნებს ყოველ მაჰმადიანს, არ მიიღოთ მონაწილეობა სუდანის ექსპედიციაშიო. „ვარწმუნებ ყოველ მართლ-მორწმუნეს, რომელიც მათგანი რაიმე მცირეოდენს შემწეობას აღმოუჩნს იმათ, ვინც სუდანის ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ, ან საჭმელით, ან სასმელით, ან სახლით და ან სხვაგვარად, იგი აღიარებულ იქნება გიაურთა მომხრეთ და მაჰმადის სჯულის უარმყოფელად. მათი სახელი ამის შემდეგ უნდა წარიხოცოს მართლ-მორწმუნეთა რიცხვიდამ, რადგან ღირსი აღარ არიან მართლ-მორწმუნედ წოდებისა.

ხელ-მოწერილია ინგლისში, ლივერპულის მეჩეთში, 10-ს შავალს 1313 წ., რომელსაც უმეცრებისა გამო ქრისტიანები უწოდებენ 24 მარტს 1896 წლ.“

**იტალია.** „სტეფანის სააგენტო“ დეპეშით იუწყებოდა, რომ ნეაპოლში ჩამოვაო რუსის „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წარმომადგენლები, რათა ომში დაჭრილ იტალიელებს მოუაროსო. ამის გამო გაზეთებმა ურ-ზ აური ასტეხეს. „რიფორმა“ ამბობს, ეს შემწეობა სრულიადაც არ ეჭირვება იტალიას, რადგან კარგად ვიცით რუსები კაცთ-მოყვარე გრძნობას არ ჩამოუყვანია და არც პოლიტიკურს ზრდილობას. იტალიას არ ეშინია სიმართლე პირში უთხრას რუსეთს. შორს ჩვენგან, ჩვენს დაჭრილებს ჩვენვე მოვუვლით“. ,,ტრიბუნა‘‘ ამბობს: თუ გამართლდა ის ხმები, რომელიც ,,სტეფანის სააგენტომ‘‘ გადმოგვცა, მაშინ რამდენიმე იტალიელი ოფიცერი, რომელიც მსახურობს ,,წითელი ჯვრის‘‘ საზოგადოებაში, სამსახურს თავს დაანებებსო. ოფიციოზური გაზეთი ,,იტალია‘‘-კი უფრო ზრდილობიანად ეკიდება ამ ამბავს.

—

„ტანი“ ამბობს, რომ დონგოლის ექსპედიციის ინიციატივა არც ინგლისს ეკუთვნის და არც გერმანიასო. დარწმუნებით ამბობენ, რომ თვით მეფე ჰუმბერტომ მიჰმართა ინგლისსა და გერმანიას ამ საქმის შესახებ და სამი დღის შემდეგ დიუფფერინმა ბერტლოს მისწერა წიგნიო“.

**ჩინეთი.** ,,რეიტერის სააგენტო‘‘ იუწყება, რომ ჩინეთის მთავრობა გვარწმუნებს, არავითარი საიდუმლო ხელშეკრულობა არ არსებობს რუსეთსა და ჩინეთს შორისო. თვით მიზანი, რომლისთვისაც უნდა შეგვედგინა ასეთი ხელშეკრულობა, უამისოდაც ადვილი აღსასრულებელია, ამიტომ არავითარს პირობას არ ვსაჭიროებთო. გერმანული გაზეთი ,,პოსტი‘‘ ამბობს, სულ ერთია პირობით დაუთმობს ჩინეთი რუსეთს გაუყინავ ნავთ-სადგურს, თუ უპირობოთო, ყოველს შემთხვევაში ინგლისის ინტერესებისათვის ეს დიდი მავნებელი იქნებაო.

**კორეა.** ,,ნოვ. ვრემ.‘‘ ატყობინებენ დეპეშით: კორეაში საქმეები ისევ აწეწილ-დაწეწილია, და თანდათან უფრო მწვავდება დამოკიდებულება კორეს მცხოვრებთა და იაპონელთა შორის. უეჭველი მოსალოდნელია მათ შორის შეტაკება. მეფე რუსეთის საელჩოშია. ამ დღეებში ვიღაცას უნდოდა შეპარვა საელჩოში მეფის მოსაკლავად, მაგრამ რუსეთელმა ყარაულებმა დაიჭირეს. თუმცა მეფე საშიშარ მდგომარეობაშია, მაგრამ ინგლისისა, გერმანიისა და ამერიკის ელჩები მაინც თხოულობენ, გადავიდეს იგი თავისს სასახლეში.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ბევრმა იქნება არ იცოდეს, რომ მთვარე—ეს ჩვენი მნათობი ღამისა,—იმისთანავე ქვეყანაა, როგორც ჩვენი ცოდვილი დედა-მიწა. მიწა მთვარისა ჭუჭყიანის ყვითელის ფერისაა. 1874 და 1875 წლებში მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ფერი მთვარის შუქისა უნდა იყოს ფერი ყვითელის თითბრისა. მთვარეს თავისი საკუთარი სინათლე არა აქვს. ღამით რომ ნათობს, ეგ იმიტომ-რომ მზის შუქი სცემს. ბნელ ოთახში რომ ქვები დააწყოთ და მზის შუქი მიაყენოთ, ის ქვებიც ისე გაანათებენ, როგორც მთვარე ანათებს,

არც ერთი სხვა ცდომილი, ან ვარსკვლავი ჩვენზე ისე ახლო არ არის, როგორც მთვარე, ჩვენიდამ მთვარემდე 360,000 ვერსტია. დეპეშა ჩვენიდამ მთვარემდე მივიდოდა წამ-ნახევარზე, ზარბაზნის ტყვია—ცხრა დღეზე, რკინის-გზით მისვლას მოუნდებოდა ცხრა თთვე. ამ სიახლოემ შეძლება მისცა მსწავლულებს გამოეძიებინათ და გამოერკვიათ ყველაზე პირველ მთვარე.

ყველაზე ღირს საცნობი ის არის, რომ ტელესკოპით შესაძლოა კაცმა კარგა დაინახოს და გაარჩიოს მთვარეზე მთები. თითქმის მთელი ზურგი მთვარისა მოფენილია რაღაც რგოლების მზგავს ფიგურებითა. ეს რგოლები ზოგი დიდია, ზოგი პატარა, ზოგი სხვილი, ზოგი წვრილი, ზოგი უზარმაზარი და ზოგი სულ პაწია. ეს რგოლის მზგავსი ფიგურები ისეთი უცნაურია, რომ მეშვიდმეტე საუკუნეში ასტრონომებს, რომელთაც ეს რგოლები პირველ დურბინდით დაუნახავთ, ეგონათ, რომ მთვარეზე მცხოვრებთ სულიერთა ხელით ნაკეთებიაო.

მთები მთვარისა შიგნით ცარიელია და ფუღუროა. წვერზე იმისთანა მოედნები და ზურგი არა აქვთ როგორც ჩვენებურ მთებსა. იქაური მთების წვერი პირღია ქვევრსა ჰგავს და შიგნითი, ანუ გული მთისა უძირო ჯურღმულს წარმოადგენს. უდიდესს მთას მთვარისას 3600 საჟენი აქვს, ჩვენებური უდიდესი მთა გაუზინკარია გიმალაიაში და 4143 საჟენი სიმაღლე აქვს. არც ერთი ნაწილი დედა-მიწისა არ მიემგზავსება სახეს და მდგომარეობას მთვარის მიწის ზურგისას. არც ერთს ნაწილს დედა-მიწისას არ გამოუვლია ის საშინელება, ის ფლეთაგლეჯა და ბუნების ძალთა ერთმანეთთან დაჯახება, რაც მთვარესა. მთვარის მთები წარმოადგენენ ერთიერთმანეთზე აწოწვილს, ერთმანეთთან შედუღებულ წვეტიან კლდეებს. შორიდამ გვგონებათ დიდროვან სოროების წვეტიანი გუმბათიაო. მთვარეზე ან სულ არ არის ჰაერი, ან ძალიან ცოტაა, ისიც, თუა, ხნარცებში და კლდეებ შორის ვაკეებში, საცა ჯერ არავის შეუნიშნავს.

იქაურს ცაზე არც ღრუბელია, არც ჯანღი. ერთი წვეთი წვიმა, ერთი ქულა თოვლი არ ჩამოვარდნილა მთვარეზე, ვინ იცის როდის აქედ. იქაური დღე ხუთმეტჯერ მეტია ჩვენებურ დღეზე. მზის ამოსვლიდამ მზის ჩასვლამდე არა ნაკლებ 354 საათი უნდება.

ბურთი მთვარისა ოთხჯერ ნაკლებია დედა-მიწისაზე, შუა-გული რომ გაეზომოს. სივრცე მთვარის ზურგისა (поверхность) 36 მილლიონი ვერსტია, მაშინ როდესაც დედა-მიწის 478 მილლიონი ვერსტია. ძალი სიმძიმისა (сила-тяжести) იქ ნაკლებია, ვიდრე დედა-მიწაზე. აქაური ათასი გირვანქა, იქ აიწონდა მარტო 174 გირვანქას, გადატანა რომ შეიძლებოდეს.

მთვარე უვლის დედა-მიწას გარშამო თთვეში ერთხელ, რადგანაც ამ გზას თითქმის მთელი ერთი თთვე უნდება. რა სიჩქარით დადის მთვარე დედა-მიწის გარშამო ეგ იქიდამა სჩანს, რომ ეს გზა $2^1/_4$ მილლიონი ვერსტია და ამას ანდომებს მთვარე 27 დღე და ღამეს, 7 საათს, 43 წუთს და 11 წამი და რომ იმ ადგილას მზისა და დედა-მიწის შუა მივიდეს, საიდამაც სვლა დაიწყო, კიდევ ორი დღე და ღამე უნდა. ამ სახით გამოდის, რომ ახალ მთვარიდამ ახალ მთვარემდე გადის 29 დღე და ღამე, 12 საათი, 44 წუთი და 3 წამი.

ყოველ თთვეს მთვარე დედა-მიწას გარს უვლის, როგორც დედა-მიწა უვლის გარს მზესა თვითო წელიწადს. მთვარის გზაც იმავ სივრცეშია და ძალიან ახლო იმ გზასთან, რომელზედაც დადის ჩვენი დედამიწა მზეს რომ გარს უვლის. ზოგჯერ მზის წინ გაივლის ხოლმე მთვარე და მზეს აეფარება. მაშინ არის ხოლმე მზის დაბნელება იმ დედა-მიწის ნაწილებისათვის, საცა მთვარის მოარული ჩრდილი ხვდება. ხან ჩვენს დედა-მიწას უკან მოექცევა ხოლმე და მაშინ თვითონ მთვარე ბნელდება, რადგანაც დედა-მიწა წინ აეფარება ხოლმე და მზის შუქს იჭერს და თავის ჩრდილს მიაყენებს. მთვარეს ჩვენკენ მობრუნებული აქვს მუდამ მარტო ერთი და იგივე გვერდი, მეორე გვერდი ჩვენთვის უნახავია. (ჶ.)

## როგორ გვიხატავს ლიტერატურა დამნაშავეთ?

ლიტერატურა თვით უძველესი დროიდამ გვიხატავს დამნაშავეთა ტიპს. ძველის საბერძნეთის ტრაგედიამ დაგვიხატა დამნაშავენი დაბადებიდამვე, დამნაშავენი ჭკუაზედ შემცდარნი და დამნაშავენი ვნებითნი (passionel). პირველი დაგვიხატა სოფოკლმა ედიპში. გარდაუწყვეტილია ბედის წერისაგან, რომ ედიპმა, ლაის შვილმა, აღასრულოს საშინელი ბოროტ-მოქმედება, მამა მოჰკლას, დედა შეირთოს ცოლად და თავი მეფედ აღიაროს. ბედის-წერის უძლური მონა ედიპი ყოველივე ამას ასრულებს. ფერრი ამნაირად ხსნის ამ ტრაგედიას, ბედის წერა საბერძნეთის მწერლისა, არის თან დაყოლილი მიდრეკილება ბოროტ-მოქმედებისადმი, ედიპი სცდილობს ამ თანდაყოლილს მიდრეკილებას გაექცეს, მაგრამ ვერას ახერხებს.

შეშლილი დამნაშავე ევროპიელმა დაგვისურათა მედეიაში, რომელმაც რამდენიმე ბოროტ-მოქმედება აღასრულა და ბოლოს ძმა მოჰკლა და შვილი. ფედორა და ორესტი კი დანაშაულს ჩაიდენენ მხოლოდ აღელვების გამო, იგინი უფრო ცხარე და ნერვებით აღშფოთებული ადამიანები არიან ვინემ ნორმალური ადამიანი.

შექსპირმაც დაგვიხატა ეს სამი ჯგუფი დამნაშავეთა. დამნაშავეთა ფსიხოლოგია ხედავს, რომ შექსპირმა მაკბეტითა, ჰამლეტით და ოტელოთი მოგვცა სამი სამაგალითო ტიპი დამნაშავეთა, საოცარის ხელოვნებით აღსრულებული. ხელოვნებას დაუმატეთ ის ღრმა დაკვირვება სინამდვილისა, რომელსაც იჩენს შექსპირი ამ დრამებში, რომელსაც ვერ აღემატება ვერავითარი მეცნიერული დაკვირვება.

მაკბეტია დამნაშავე დაბადებიდგანვე, უცნაური მაგალითია პატოლოგიურის ტიპისა, შექსპირმა მაკბეტი ეპილეპტიკად დაგვიხატა. მაკბეტის ეპილეპსია თან დაყოლილია, რომელიც მეტად ძნელი გამოსაცნობია. მეორე მოქმედებაში მაკბეტის ცოლი ეუბნება სტუმრებს, მაკბეტას უცნაური მოქმედებით გაკვირვებულებს: „ნუ დაიძვრით მეგობარნო, ჩემს მეუღლეს ამგვარი ავადმყოფობა ხშირად ემართება ბავშვობითგანვე, მაგრამ რამდენიმე წამი გრძელდება მხოლოდ და მერე ისევ კარგად ხდება“. ეს ის წამი იყო, როცა მაკბეტი სკამიდამ წამოვარდა, რადგან ბანკოს აჩრდილი დაინახა. შექსპირის გენიოსობისა და მისი საოცარის დაკვირვების შედეგია ლედი მაკბეტის ტიპიო. შექსპირმა დაგვანახვა რა დაჟინებით და ენერგიულად აჯერებს ქმარს მაკბეტის ცოლი მკვლელობა მოახდინეო, კრიმინალურმა ანთროპოლოგიამ დაამტკიცა, რომ ქალი—დამნაშავე ბევრად უფრო საშინელია და ბევრად უფრო გადაჟინებული ვინემ მამაკაცი. ჰამლეტი წარმოგვიდგენს იმგვარს შეშლილს, რომელიც სრულიად დალაგებითა და ლოღიკურად სჯის იმ საგანზედ, რომელმაც გამოიწვია მისი შეშლილობა. მისი ჰალიუცინაციები, მისი მოგონილი შეშლილობა, (ესეც ერთ ერთი ნიშანია ჭკუაზედ შეცდომისა) ნების უქონლობა და რაღაც უცნაური ეჭვები—ეს სუყველა დამამტკიცებელია მისი ერთგვარი შეშლილობისა. თუმც მეფე-ბიძის მოკვლა გამოწვეული იყო კეთილშობილის აღელვებისაგან (ესეც ხშირად გვხვდება ხოლმე შეშლილ-დამნაშავეთა მოქმედებაში), მაგრამ პოლონიის უაზრო და უმიზნო მოკვლა-კი შედეგია შეშლილობისა. ჰამლეტის სჯა-ბაასი სულ სხვას გვაჩვენებს, მისი საქციელი ოფელიასთან-კი სულ სხვას. ესეც სამაგალითო დასურათებაა ამგვარ შეშლილთა, იმგვარი დასურათება, რომელიც მარტო შექსპირის ღრმა დაკვირვებას შეეძლო.

ოტელლო ტიპია ვნებითი დამნაშავისა. ვნებითი დამნაშავე თითქმის იგივე ნორმალური ადამიანია: იგი ჰკლავს კაცს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ზნეობრივი ანუ საზოგადოებრივი გრძნობა და მისწრაფება დროებით მიყუჩებულია, ჩამქრალია წუთიერ აღშფოთებისა და აღელვების გამო. მაგრამ, როგორცკი გაივლის ეს წუთიერი აღშფოთება და კაცი ისევ ნორმალურად ხდება, საშინლად შეზიზღდება ხოლმე თავისი მოქმედება და სინანულით ივსება მისი არსება. ხშირად სინანული იქამდის მიდის, რომ თავსაც-კი იკლავს დამნაშავე. აი ამის საუცხოვო მაგალითია ოტელლო. ამ დრამაშია კიდევ ერთი სამაგალითო ფსიხოლოგიური დაკვირვება, „დანაშაულის შთაგონება“. იაგო და ოტელლო ,,დამნაშავეთა წყვილია‘‘, რომლის შესწავლა შეადგენს კრიმინალური ანთროპოლოგიის გამოკვლევების მიზანს, მაგრამ გენიოსმა მწერალმა რამდენიმე საუკუნით წინ

დავეხსნათ და გვიჩვენა ის, რაც მხოლოდ დიდ შეიძლო მეცნიერებამ. ამ წყვილისაგან ერთი ბრძანებლობს მეორეზე, ერთი ჩაგონებს მეორეს და აქეზებს მას ბოროტ-მოქმედება აღასრულოს. მეორე-კი სუსტი და გულუბრყვილო გმირია, რომელიც პირველის ბოროტების მონადა ხდება. მარტო ეს ერთი ფსიხოლოგიური სურათი გვიჩვენებს სოციარ გენიოსობას შექსპირისას, მისს შეუდარებელს ძლიერებას ფსიხოლოგიაში. ეს დრამა გვიმტკიცებს და თვალსაჩინოდ გვიხდის მას, რაც დიდის გამოკვლევათა და შრომით გამოიკვლია მეცნიერებამ დამნაშავეთა შესახებ.

შექსპირის შემდეგ დიდი ხელოვნებით დასურათებული ტიპი დამნაშავეთა შეგვხვდება ზოლას, ბურჟეს, იბსენის, ტოლსტოის და დოსტოევსკის ნაწარმოებებში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი" და ბ. ალ. თოიძე.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გურიის მოწინავე თაობამ განიზრახა, დაარსებინა გურიაში დეპო, საზოგადოდ იმ ხასიათის ამხანაგობა, რომლის დაარსებას სცდილობს გურიის მოწინავე თაობა, ახალი რამ არ არის: დაწინაურებულს ქვეყნებში იმას კარგა იცნობენ, და ამ ბოლო დროს ჩვენშიაც გამოჩნდნენ მის თავგამოდებულნი მოსარჩლენი; ასე, რომ საზოგადოება ცოტად თუ ბევრად გაიგო ამ გვარ ამხანაგობათა სარგებლობა. მიტომ, როცა შევდექით ამხანაგობის წესდების შემუშავებას, ჩვენ ვხელმძღვანელობდით და ვსარგებლობდით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ჩვენზე წინეთ შემუშავებული და უკვე არსებული წესდებებით და პროექტებით, მაგალითად: ქიზიყის დეპოს პროექტით, ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის" წესდებით და სხვ. ამის დაკვალად შედგენილი ჩვენი გურიის სავაჭრო ამხანაგობის წესდება, და თუ რაიმე განსხვავება არსებობს ჩვენს ამხანაგობის და სხვა ამხანაგობების წესდებათა შორის, ეს გამოწვეულია იყო ადგილობრივი პირობებით მხოლოდ.

პროექტი მიღებულ იქმნა ახალ ჩარიცხულ წევრთა მიერ და ჩვენც საქმეს შევუდექით, რომ ამხანაგობისათვის ახალი წევრები შეგვეძინა, ფული შეგვეგროვებინა და მოსამზადებელი წლილდ თვით დეპოც გაგვეხსნა. სხვათა შორის ჩვენთვის იყო საჭირო აგენტები. სამწუხაროდ ამ უკანასკნელების რიცხვში მოხვდა ბ. ალ. თოიძეც, რომელსაც წინ-და-წინ სთხოვეს ერთმა ამხანაგობის წევრთაგანმა, რომ მას ეკისრა აგენტობა. ბ. თოიძე ამაზედ თანახმა გამხდარიყო და სავაჭრო წიგნიც ჩაიბარა. მაგრამ საქმეს სულ სხვა ნაირი ბოლო მიეცა. რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩვენი საიმედო აგენტი „შუამავლის" დაუძინებელ მტრად გადაიქცა.

ჩვენს გათახსირებულ დროში ახალს გამოცხდა და ღალატობა იშვიათი არ არის და-რა-საკვირველია, რომ ბ. თოიძე მოიყოლია ამ სამარცხვინო სენმა თავის ზეირთებში. ბ. თოიძემ „ივერიის" საშუალებით ქვეყანას ამცნო, რომ უღალატა თავის წინანდელ პირობას. ხოლო მკითხველი საზოგადოების თვალის ახახვევად რაღაცანირი, ვითომდა „ხელით საგოგმანებელი მიზეზი" დაასახელა; ვითომც მისი სინდისი დემოკრატი-კი არა, რწმენა ყოფილყოს: „ეს საზოგადოება (იგულისხმე: გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი") ჩემი რწმენის წინაამდეგია" უცხადებია ბ. თოიძე ქვეყანას (იხ. „ივერია" № 112, 1895). მაშ ხომ ყოფილა ვიცოდეთ ბ. თოიძის „რწმენა". ეს არც საძნელო საქმეა. იგი გვეუბნება, რომ ოზურგეთში მოსპდა გაჭრა არავინ არის, ყველანი გურიის მკვიდრნი არიან: ჩვენის პროგრამის დეპოს დაარსება-კი ამ ჩვენ გურულ ვაჭრების წინააღმდეგ ბრძოლის გარითუბენს, კონკურენციას გაუწევს, და ეს, აბა, რომელ ვაჭარს ესიამოვნება. მაგრამ არც ისე სასტიკად იმმარია ბ. თოიძემ ჩვენი ამხანაგობის წინაამდეგ. განსაკუთრებით მარტო გამზიდავი ამხანაგობის დაარსება, თორემ, თუ „შუამავლის" პროგრამის დეპო დაარსდა, იმ შემთხვევაში ჩვენი მეზობელი ვაჭრების შელახვა უსწოვლებელი დარჩებაო, შეამჩნია ბ. თოიძემ ოზურგეთელი ვაჭრები. ეს არის ბ. თოიძის „რწმენა", მკითხველო. ჩვენ, ამხანაგობის წევრთ, ამას შემდეგ რაღა უნდა ვექნა. ჩვენ ბრძანებულა ეს ბ. თოიძის ან-კი გავიგეთ საკმარისად, მაგრამ სხვა მეორე საქმეც ვიცოდით, რომ ბ. თოიძემ გამოეყოლეთომა მისი „რწმენის" დასარღვევად. ამას გარდა, განა თვით „ივერია" ცოტას დიდიდ დეპოს სასარგებლოდ, რომ ბ. თოიძის „რწმენის" ცვლილება მოეხდინა ჩვენი-ძარიმების საზოგადოების გონებაში?

მაგრამ უცვლელად აზრს ყოველთვის ეყოლება თავისი მომხრე და მიმდევარნი. ბ. თოიძის „რწმენა" ჭეშმარიტებად სცნეს ზოგიერთ ოზურგეთელ ვაჭრებმა, და, თურმე ბე იტყეიო, დიდგულად გაიძახიდნენ: ჩვენ შინაური ვაჭრები ვართ და ტყავს თუ გაძრობა, ისეც თქვენი მოვინელიდაო. ერთმა ვაჭარმა წერლით შეორი, ბ. კ. თავართქილაძემ შეინარა ოზურგეთელ ვაჭრების და ბ. თოიძის კარგად დამხედველად. (იხ. „კვალი" № 41, 1895.) ხსენებულმა გარემოებამ ხელახლად გამოიწვია ბ. თოიძის ვრცელი წერილი, რომელშიაც ავტორი ცდილობს თავის ჭკუას გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის" პროგრამა და განიზრახება. *) ამისთვის ვიდრე ბ. თოიძის „რწმენის" დაფასებაზედ გადავიდეთ, განვიხილოთ, მოკლედ მაინც, ჩვენი ამხანაგობის მიზანი და დანიშნულება, რამდენადაც ბეჭვდითი სიტყვის ფარგალი ნებას გვაძლევს.

დ. კალანდარიშვილი.

(დასასრული იქმნება)

*) აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ბ. თოიძის წერილს (იხ. «ივერია» 1895 წ. №№ 226 და 227) ჩვენ აქ ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ეხება ამხანაგობის «შუამავლის» პროგრამას; დანარჩენში ბ. თოიძე სულ მთლად ეკუთვნის ბ. კ. თავართქილაძეს, ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს-რა.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი თუმანიშვილნი. საქართველოს მეფის ერეკლე II-ის 1795 წ. გუჯარში მდივანი გინატე და შილდა მისნი გიორგი, იესე და დავით თუმანიშვილნი თავადებად ხრიან წოდებულნი.

თავად თუმანიშვილთა გვარეულობა ხელმოწერდა ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრული ტრაქტატს აქვს ზედ დართული.

7 მარტს 1826 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V განყოფილებაში ჩაწერილ შეტანილ არიან თავადნი თუმანიშვილნი: 1) სტატსკი სოვეტნიკი გიორგი, პრაპორშჩიკი გიგა და კოლეჟსკი ასესორი დავით გიგატეს ძენი; 2) თომა, პრაპორშჩიკი პავლე, მიხეილ და ალექსანდრე იოსების ძენი და 3) ივანე სადხიბისტროს ძე.

უმაღლესად დამტკიცებულის სენატის დადგენილებით 6 მაისს 1847 წ., 10 მაისს და 1 დეკემბერს 1848 წ., 16 ივლისს 1851 წ., 12 მაისსა და 27 ოქტომბერს 1854 წ., 5 და 12 იანვარს 1855 წ., 15 მარტს 1872 წ. და 27 მაისს 1875 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი თუმანიშვილნი: 1) ეგნატე, დავით, ივანე, გიორგი და ნიკოლოზ ივანეს ძენი; 2) კოსტანტინე და ნიკოლოზ თომას ძენი; 3) პავლე და ლევან ალექსანდრეს ძენი; 4) ივანე, ვასილი, დიმიტრი, ალექსანდრე, იოსებ ავგუსტინი და პავლე მიხეილის ძენი; 5) მიხეილ, ნიკოლოზ და კოსტანტინე გიორგის ძენი; 6) იოსებ და ივანე პავლეს ძენი და 7) ნიკოლოზ და მარიამ ივანეს ძე და ასული.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნი რა ამასთანავე 25 მან., გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის" მახლობელ ნომერში შემდეგ წერილს: ამ თვის შუა რიცხვებში გუდაუთაში საქველ-მოქმედო მიზნით გამართული იქმნა ქართული წარმოდგენა, რომლიდანაც შემოვიდა სულ 75 მ. აქედამ დაიხარჯა 25 მან., დანარჩენი 50 მანეთი განაწილდა ასე: 25 მანეთი გადაიდვა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ, მეორე 25 მანეთი-კი—წყალ-დიდობის და დიდი თოვლიანობისაგან გაზარალებულ ქუთაისის და თბილისის გუბ. მცხოვრებთათვის სასარგებლოთ. ამას გარდა, უგულითადესს მადლობას ვუძღვნით ბ-ნს ბ. პ. ჩიქოვანს და გიორგი თოფურიძეს და განსაკუთრებით იმ პირთ, რომელთაც არ დაიზარეს თავიანთი შრომა და მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში: ქ-ნ ელენე ჯანაშიასას, ბ-ნთ ბუკიას, ბეთანაშვილს, ს. ნოდიას, კ. ლოლუას, ქდანოვიჩს, ვასილენკოს და მთელ საზოგადოებას. იმედია პატივცემული საზოგადოება შემდეგშიც არ დაიშურებს თავის წვლილს კეთილ საქმისათვის და მოგვიმართავს ხელს ამნაირ შემთხვევის გასახშირებლად.

მოთავენი წარმოდგენისა:

დიმიტრი ნადარაიშვილი, სიმონ საბაშვილი, ნიკო ჯანაშია და თეოფილე გოგიტიძე.

დაბა გუდაუთი.

—

მცხეთის სახალხო წიგნთ-საცავის გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის თ. ჟორდანიას, თავისს ქრონიკებისა და ბაგრატის გრამატის შემოწირვისათვის.

წიგნთ-საცავის გამგეთაგანი გ. მრევლიშვილი.

1896 წ. 2 აპრილი.

## „ივერიის" დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აპრილი.

**ბერლინი.** ,,ვოლფის სააგენტო''-ს ნამდვილის წყაროებიდამ გაუგია, რომ თავადს ჰოჰენლოეს პარიზში ყოფნის დროს არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია არც ბურჟუასთან და არც სხვა რომელიმე საპოლიტიკო მოღვაწესთან და არც არავინ უნახავს მათგანი.

**ვენეცია.** მეფე ჰუმბერტომ გააცილა იმპერატორი ვილჰელმი გემამდის.

იმპერატორმა უბოძა ჰერცოგ სერმონტას ,,წითელი არწივის'' ორდენი, ხოლო რუდინის თავისი სურათი.

**კონსტანტინოპოლი.** გამოიცა სულთანის ბრძანება, რომ ყოველი ოსმალელი, რომელიც სამზღვარ-გარედ არის წასული განათლების მისაღებად სამშობლოში დაბრუნდეს. ამბობენ, ეს ზომა იმიტომ იქმნა მიღებული, რომ სამზღვარ გარედ მოსწავლე ოსმალონი მონაწილეობას ღებულობენ ახალ-ოსმალთა აგიტაციაში.

**ლონდონი.** ,,ტაიმს''-ს აუწყებენ დეპეშით ქაირიდამ: მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ ყოველმა დეპარტამენტმა თავდარიგი დაიკავოს და ხარჯი შეამციროს, რადგან დონგოლის ექსპედიციამ მოულოდნელი ხარჯი გამოიწვია. ეს ბრძანება შეაჩერებს ეგვიპტის ადმინისტრატიულს განვითარებას და დეპარტამენტების თვით მოქმედების მოსპობის მომასწავებელია. ამის გამო საქმის გარჩევა ფრანგული კრედიტორების საჩივრის გამო გადაიდვა. ეგვიპტელი კაპიტალისტები, რომელთაც ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგის ობლიგაციები აქვთ, ჰფიქრობენ ობლიგაციები საერთაშორისო სასამართლოს მიაბარონ, მაგრამ ფრანგული კაპიტალისტები წინააღმდეგნი არიან ამისი".

**ქაირი.** საერთაშორისო სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა ეგვიპტის კასსის კომისსიის წევრების გარდაწყვეტილების გამო.

**კოლომბო.** ლი-ხუნ-ჩანგი იუწყება, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების შემდეგ წავა ბერლინში, ესსენში, პარისში, ივლისში ლონდონში შეივლის და მერმე ამერიკაში წავა. პეკინში-კი ნოემბრის დამლევისათვის დაბრუნდება.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.** იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ.** სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ.** სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ.** სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე.** შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ.** სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ.** ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ.** ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო, 6—7 საათ.** სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—97).

# ქირავდება

ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

# იატაკის საწმენდი ფხვნილი
# ბემერისა.

აგრეთვე კარებისა, კიბეებისა, ფანჯრის ჩარჩოებისა, ფანჯრის დასაყრდნობებისა და სხვა ხის ავეჯეულობისა: სამზარეულოში სახმარებელ მაგიდებისა, თაბხებისა და სხ., **ისყიდება ყველგან და ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

ზემოხსენებული საგნები ამ ფხვნილით საუცხოვოდ და მალე ირეცხება,—შელებილები იქნებიან თუ შეულებავები და იაფადაც ღირს.

(2—22—1).